ISSN 1512-1801

The 2nd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

# ინოვაციური ხედვა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას

ფიქრია მაჩიტიძე[1], ნინო გელენიძე[2]

[1]ქუთაისის #41 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

[2]აწსუ პედაგოგიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

***ანოტაცია:***

*ნაშრომში განხილულია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ზოგიერთი პრობლემა და სირთულეები პრაქტიკოსი მასწავლებლის საქმიანობაში.*

*ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მშობლიური ენის სწავლა-სწავლებაში არის ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია. მოსწავლეებს ჭირდებათ გარკვეული სტიმულები, რათა სათანადოდ დააფასონ, გააცნობიერონ მშობლიური ენის სწავლის აუცილებლობა. საინტერესო იქნებოდა სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება და ქართული სინამდვილისა და საჭიროებების შესაბამისად მასალების გადამუშავება-დანერგვა.*

*სასურველია მოიძებნოს და შემუშავდეს შესაბამისი სამართლებრივი ნორმა, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები შეძლებენ კვალიფიკაციის ამაღლებასა და სამსახურეობრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებას. ამასთან მიღწეული შედეგების მონიტორინგი წამახალისებელ აქტივობაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა დასჯა-გაკიცხვაზე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სწავლა-სწავლება, მშობლიური ენა, მასწავლებელი, გაკვეთილი, მოსწავლე.*

ადამიანური საზოგადოების განვითარების კვალობაზე იცვლებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და სწავლების ფორმები და მეთოდები. უცვლელი რჩება მხოლოდ ის, რომ ნებისმიერ ეპოქაში განათლების კონცეფცია განისაზღვრება საზოგადოების მოთხოვნებითა და საჭიროებებით, ამასთანავე, ორგანულად ესადაგება ახალგაზრდობის განვითარების თავისებურებებს. ეს კი პედაგოგებისაგან სიახლეთა მუდმივ ძიებასა და ცვლილების განსახორციელებლად მზადყოფნას ითხოვს.

როგორია ჩვენი რეალობა ამ მხრივ?

ორი ათეული წელიწადია საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზას ადგას და იბრძვის საკუთარი პოლიტიკური კურსის შემუშავებისათვის, მაგრამ დღესაც კი იგი მხოლოდ ძალზე ზოგადი ევროპული ორიენტაციითაა დეკლარირებული. „სწორედ ამიტომ ქვეყნის განათლების პოლიტიკა სრულიად უსისტემო და გაუცნობიერებელია... და სამწუხაროდ, ჯერ არავის განუსაზღვრავს ის საჭიროებები, რომლებიც საკუთრივ საქართველოს მოქალაქის აღზრდისთვისაა აუცილებელი, ქართველი ადამიანის ფსიქოტიპური მახასიათებლების გათვალისწინებით არის შემუშავებული და ეთნოფსიქოლოგიურ წიაღს მორგებული". (2:116).

მეორეს მხრივ სკოლა და მასწავლებელი ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ინტეგრაციული პროცესების გამო საჭირო გახდა ახალი სახელმძღვანელოების შექმნა-

ISSN 1512-1801


დანერგვა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე.

სხვადასხვა საგნისთვის თარგმნეს სახელმძღვანელოები და მეტ-ნაკლებად ქართული სინამდვილისა და საჭიროებების გათვალისწინების მიხედვით, პერიოდული კორექტირებით, მოსწავლეები იღებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებულ ცოდნას. ამ კუთხით განსხვავებული ვითარებაა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში.

არსებული სახელმძღვანელოები არ იძლევა საშუალებას სრული, საფუძვლიანი გრამატიკული ცოდნა მიიღოს, მასწავლებელი იძულებულია, თვითონ მოიპოვოს, აარჩიოს, გადაამუშაოს მასალა, დააკვირდეს რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რამდენად დაეხმარება დასახული მიზნის მიღწევაში და შემდეგ დაამკვიდროს პრაქტიკაში. მან დამოუკიდებლად უნდა მოამზადოს თვალსაჩინო თუ დამხმარე მასალა, რაც რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მაშინ, როცა უცხო ენების სწავლებისთვის უამრავი დამხმარე მასალა არსებობს.

სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, მასწავლებლებს ან არ ყოფნით კომპეტენცია ეს ყველაფერი განახორციელონ პრაქტიკაში, რასაც, რა თქმა უნდა არავინ კრძალავს, ან ენთუზიაზმი, უფრო ხშირად კი მატერიალური რესურსები და დრო, რომ ზემოთ თქმული განახორციელონ. ეს პრობლემა კი აისახება მასმედიის, მაღალი ეშელონების წარმომადგენლებისა და საერთოდ, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მიერ გაუმართავ მეტყველებაში, რაც, რა თქმა უნდა, აზრის გაბუნდოვანებას იწვევს. ამიტომ, სასურველია, ამ პრობლემის დროული მოგვარება სათანადო სასკოლო, მრავალფეროვანი დამხმარე წიგნებისა და სახალისო კომპიუტერული თამაშებისა და ტექსტების შექმნა, რაც მსურველთათვის ხელმისაწვდომი იქნება.

ცნობილია, რომ წიგნიერების დონე საქართველოში ახლა გაცილებით დაბალია, ვიდრე ოცი წლის უკან იყო. აქ ჩვენი მიზანი არ არის მიზეზების ჩაძიება, მაგრამ ეს სიტუაცია გარკვეულ დაღს ასვამს როგორც საშუალო, ისე განსაკუთრებით უმაღლეს განათლებას.

რაც შეეხება ლიტერატურის სწავლებას, მართალია, პერიოდულად იცვლება სახელმძღვანელოების შინაარსი, მაგრამ ის სრულყოფილად მაინც ვერ იძლევა სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგზე გასვლის შესაძლებლობას, ამას ადასტურებს ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული შედეგების ანალიზი.

მნიშვნელოვანია, ისიც, რომ სახელმძღვანელოებში მოცემული მასალა დაყოფილია თავებად და ყოველი მომდევნო საკითხი უნდა წარმოადგენდეს კოგნიტური განვითარების უფრო მაღალი საფეხურის შესატყვისს, ვიდრე წინაა. დღევანდელ სინამდვილეში სასურველი იქნებოდა უფრო კარგად ყოფილიყო გათვალისწინებული ეს საკითხი. მაგალითად, მე-9 კლასის ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილის სახელმძღვანელოში, თავდაპირველად მოცემულია „ავთადნილის ანდერძი" და ბოლოს „მოსე ზამთარაძის ნაამბობი".

მოსწავლეებს კი სასწავლო წლის თავსა და ბოლოში უჭირთ მობილიზება, რაც გამოწვეულია მათი ფიზიოლოგიური მდგომარეობით, რასაც ემატება საერთო კლიმატური პირობებიც. ამიტომ სასურველია, წლის ბოლოს იყოს მცირე მოცულობის, სააზროვნო საკითხები თავმოყრილი და არა ვრცელი და რთული, რაც დიდხანს ერთ

ISSN 1512-1801


ადგილზე ყოფნას მოითხოვს. მართალია, მასწავლებელს შეუძლია თავისი შეხედულებების მიხედვით გადაადგილოს მასალა, აქაც დიდი სიფრთხილე და მასწავლებლის პროფესიონალიზმია საჭირო, მაგრამ დაირღვევა კოგნიმტური განვითარების საფეხურეობრივი აღმასვლა, თუ ასეთი არსებობს, და არ იქნება გათვალისწინებული მოსწავლეთა მობილობა. მაგალითად, ახალ კლასში მყოფი მოსწავლე, რომელსაც უკვე გავლილი აქვს მოცემული მასალა, ნაკლებ სავარაუდოა, დაინტერესდეს ხელმეორედ. აქაც მასწავლებლისთვის დამატებითი ბარიერი იქმნება, რომლის წარმატებით გადალახვაც მის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. არის კიდევ ერთი პრობლემა გასათვალისწინებელი: ქვეყანაში, სხვადასხვა სკოლაში, განსხვავებული სახელმძღვანელოების არსებობა. ეს ბარიერი კი უფრო რთულად გადასალახია მოსწავლე-მასწავლებლისთვის. ამიტომ კვალიფიციური მონიტორინგის არარსებობის გამო, სასურველია, ამდენი რამ არ იყოს მხოლოდ მასწავლებლის კომპეტენციაზე დამოკიდებული.




წარმოდგენილი დიაგრამა მოცემულია რამდენიმე კლასზე დაკვირვების შედეგად და, იმედია, დაგვეხმარება სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებაში. მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებისათვის აუცილებელია მსოფლიო მწერალთა შედევრების ჩართვა სწავლის პროცესში. მართალია, არის ერთეული მაგალითები, ზემოთ ნახსენები სახელმძღვანელოს მე-7-მე-8 კლასების მასალებში, მაგრამ ეს არასაკმარისია. ხოლო დანარჩენი კლასების საგაკვეთილო მასალაში კი საერთოდ არაა. ფაქტია, ლიტერატურულ პარალელებს მოსწავლეთა კოგნიტური განვითარება აჰყავს უფრო მაღალ საფეხურზე და ეხმარება მათ იმის გაცნობიერებაში, რომ ისინი მსოფლიოს ნაწილი არიან და გარკვეული საკითხები, სოციალური, ფსიქო-ფიზიოლოგიური პრობლემები ერთნაირად აღელვებთ სხვა ქვეყნის, ერის წარმომადგენლებსა და, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებულ, მაგრამ საინტერესო გადაწყვეტილებამდე მიდიან. აქაც მასწავლებელს შეუძლია მიუთითოს, პირადი, ინდივიდუალური შეხედულებების მიხედვით, საჭირო მასალა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მშობელისა და მოსწავლეს ან არ

ISSN 1512-1801


შეუძლია, ან არ ჰგონია სავალდებულო „დამატებითი მასალის" მოძიება-სწავლა-სწავლება.

აქაც საინტერესო იქნებოდა სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება და ქართული სინამდვილისა და საჭიროებების შესაბამისად მასალების გადამუშავება-დანერგვა.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მშოლიური ენის სწავლა-სწავლებაში არის ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია. სავარაუდოდ, რადგან ქართული ენა მშობლიურია, მოსახლეობას და, შესაბამისად, მოსწავლეებს, მიაჩნიათ, რომ მშობლიური ენა თავისთავად მნიშვნელოვანია და იციან, მასზე ზრუნვას ზედმეტი ძალისხმევა არ სჭირდება. მაგრამ ამგვარი მიდგომა რომ მცდარია, რეალობა ადასტურებს.

მოსწავლეებს სჭირდებათ გარკვეული სტიმულები, რათა სათანადოდ დააფასონ, გააცნობიერონ მშობლიური ენის სწავლის აუცილებლობა. რადგან საერთაშორისო ორგანიზაციები არ არიან დაინტერესებული ამ საკითხით, სხვა დისციპლინებისაგან განსხვავებით, როგორებიცაა, მაგალითად საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებები და უცხოური ენები, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მის პოპულარიზაციაზე.

წამახალისებელი კონკურსები თუ მოტივაციის ამამაღლებელი სარეკლამო რგოლები და სხვა საშუალებები, მნიშვნელოვნად გაზრდის ამ პრობლემის მოგვარების ალბათობას.

ზემოთ ჩამოთვლილი მცირე ხარვეზების გარდა, არის სხვა პრობლემებიც, რომელთა გადაჭრა ახლებურ მიდგომას საჭიროებს.

სწავლა-სწავლების დაბალი დონის ასამაღლებლად აუცილებელია მასწავლებელთა კომპეტენციის, კვალიფიკაციის განსაზღვრა-ამაღლება წახალისების გზით. მასწავლებელთა განვითარების სქემა უნდა იძლეოდეს რეალურ შესაძალებლობას, რომ მოქმედმა მასწავლებლებმა შეძლონ საფეხურიდან საფეხურზე ასვლა, „თანაც მასწავლებელი უნდა ფასდებოდს იმისათვის, რომ მან გააუმჯობესოს სწავლება და არა იმისათვის, რომ დადგინდეს მისი რეიტინგი". (რენდი ვეინგარტენი, ამერიკის მასწავლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი).

სასურველია მოიძებნოს და შემუშავდეს შესაბამისი სამართლებრივი ნორმა, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები შეძლებენ კვალიფიკაციის ამაღლებასა და სამსახურეობრივი მოვალეობების პირნათლად შესრულებას. ტრენინგ-პროგრამები და სემინარები სასურველია ჩატარდეს არა საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ, როცა აღქმა-ანალიზის უნარი დაქვეითებულია, არამდედ თავისუფალ დროს, ხოლო მიღწეული შედეგების მონიტორინგი წამახალისებელ აქტივობაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა დასჯა-გაკიცხვაზე.

ქვეყნის მომავალს ახალგაზრდობა განსაზღვრავს. ახალგაზრდობის მრწამსის, ზოგადად მათი პიროვნული ფორმირების საქმეში გამორჩეული ფუნქცია გააჩნია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლებას და მის მასწავლებელს. ამდენად, სახელმწიფოს, განსაკუთრებით განათლების სისტემის უპირველესი საზრუნავიც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან ქართული ენა არა მარტო ეროვნული სიმდიდრე, არამედ მსოფლიო კულტურული საგანძურის თვალმარგალიტია.

ISSN 1512-1801


**დამოწმებული ლიტერატურა**

1. ქ. ჭკუასელი, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტი, IV საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, ქუთაისი, 2013.
2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საგნობრივი სტანდარტი, www.mes.gov.ge/old/index. php?module=text...id...